

მაია გელაშვილი

MAIA GELASHVILI

სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო  
უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი

PhD in Economics, Assistant Professor of  
Samtskhe-Javakheti Shate University

ანოტაცია

საბაზრო ურთიერთობათა დამკვიდრება და პერსპექტივაში განვითარება წარმოუდგენელია კომერციული საბანკო სისტემის წარმატებული ფუნქციონირების გარეშე, ვინაიდან იგი ასრულებს შუამავლის როლს კრედიტორებსა და მსესხებლებს შორის, პრაქტიკულად განსაზღვრავს მისი განვითარების ვექტორს და გამოდის ფულად-საკრედიტო პოლიტიკის გამტარებლის როლში. საბანკო საქმის მსოფლიო გამოცდილების პრაქტიკა გვიჩვენებს, ახალი ტიპის ფინანსური ანგარიშგებების დანერგვას, რომელიც თავის მხრივ, ბანკების საქმიანობის გამჭვირვალობასთან ერთად ითვალისწინებს რისკის მენეჯმენტსა და ბანკის კორპორაციული მმართველობის გაუმჯობესებას საბანკო საქმიანობის ყოველმხრივი ანალიტიკური, კომპლექსური შეფასების შესაძლებლობებს საბანკო სისტემის ფუნქციონირების პროცესში.

კომერციული ბანკების უმთავრეს პრობლემას წარმოადგენს საკრედიტო პორტფელის რისკების ანალიზი და შეფასება კრიზისულ პირობებში. წარმატებული დაკრედიტებისთვის ბანკებმა უნდა შეიმუშაონ საკრედიტო რისკების ეფექტური მართვის სისტემა, რაც ბანკის რისკების მართვის სისტემის ძირეული რეორგანიზაციის გარეშე შეუძლებელია. განსაკუთრებით მნიშვნელოვან ცვლილებებს მოითხოვს ფიზიკური და იურიდიული პირების საკრედიტო რისკების მართვის სფერო. კომერციული ბანკის რისკების მართვის სისტემების სრულყოფა მიმართული უნდა იყოს კლიენტების ყოველი კატეგორიისათვის, თუმცა გასათვალისწინებელია ისიც, რომ ბანკის მთავარი ამოცანაა საპროცენტო, საბაზრო და საოპერაციო რისკების მართვის სისტემების განვითარებაც.

საოპერაციო რისკების მთავარ ამოცანად უნდა იქცეს იმ ნაკლოვანებების ლიკვიდაცია, რომელთა საფუძველს წარმოადგენს:

- მოსალოდნელი საოპერაციო რისკების უფრო ღრმა ინვენტარიზაცია;
  - საოპერაციო რისკების მოსალოდნელი ეკონომიკური შედეგების შეფასება;
  - კონტროლის სისტემის ეკონომიკური ანალიზი;
  - საბაზრო რისკების სფეროში ხარისხობრივი მოდერნიზაცია ფინანსური რისკების გათვალისწინებით. შესაბამისად, საკრედიტო რისკთან დაკავშირებული პროცესებიც მოითხოვს ძირეული ცვლილებების დანერგვას:
1. ყოველი კლიენტისთვის შეიქმნას ისეთი სისტემა, რომელიც დაფუძნებული იქნება იმაზე, რომ კლიენტმა დაუფარავად შეაფასოს საკრედიტო რისკის მოსალოდნელი დონე;
  2. დაკრედიტების შემთხვევაში კომერციული პრიორიტეტების შეთანხმებულობა რისკის შეფასებასა და დაბრუნების ნორმებთან;
  3. გადაწყვეტილების მიღების დროს გაიზარდოს იმ ფუნქციის როლი, როდესაც რისკების მართვის კრედიტით მომზადებას განიხილავს რამდენიმე ადამიანი;

კომერციული ბანკების პროგრესული ცვლილების და ეფექტური განვითარების ფუნქციონირებისთვის მიზანშეწონილად მიმაჩნია რიგი ღონისძიებების გატარება. კერძოდ: ა) ახალი ტიპის ფინანსური ანგარიშგებების დანერგვა, რომელიც მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს, როგორც მომხმარებლის მიერ ინფორმირებულ და გააზრებულ ფინანსური გადაწყვეტილებების მიღებასა და ახალი ფინანსური პროდუქტების აქტიურ გამოყენებას, ასევე საზოგადოების ცნობიერებისა და ბანკებისადმი ნდობის ამაღლებას. ბ) რეფორმები, რომლებიც შეამცირებს რისკებს როგორც კრედიტორების, ასევე დეპოზიტორებისთვის რაც თავის მხრივ, გააუმჯობესებს კომერციული ბანკების საქმიანობის გამჭვირვალობას.

**საკვანძო სიტყვები:** საკრედიტო რისკი; საკრედიტო პორტფელი; კორპორაციული მმართველობა; ინვენტარიზაცია; მოდერნიზაცია; ფულად-საკრედიტო პოლიტიკა.

## Abstract

The establishment and development of market relations is impossible without the successful operation of the commercial banking system, since it plays an intermediary role between the creditors and the debtors and practically defines the vector of its development and officially plays the role of the implementer of monetary policy. Worldwide experience in banking practice reveals that adoption of new types of financial reporting, which, in turn, along with the transparency of banking activities considers the development of risk management and corporate governance of banks, comprehensive analytical and complex assessment of the opportunities, should be taken into account in the process of the functioning of the banking system in Georgia.

The main problem of commercial banks is the credit portfolio risk analysis and assessment in the critical conditions; banks have to develop an effective credit risk management system. Successful realization of a bank's commercial objectives is impossible without a fundamental reorganization of its risk management system. Credit risk management field related to physical and legal entities, requires a particular change. Improvement of Commercial Bank's risk management system should be tailored to each category of customer, however the development of interest rate, market and operational risk management systems should be considered as well, that is a main task of banks.

The main goal of operational risks should be elimination of drawbacks that are associated with simultaneous removal of the surplus control mechanism. The work shall be based on:

- Deeper inventory of expected operational risks;
- Assessment of expected economic outcomes of operational risks;
- Economic analysis of the control system;
- Qualitative modernization in regard to market risks considering financial risks.

Accordingly, the processes associated with the credit risk require adoption of fundamental changes:

1. Development of a system for each client which will allow the client to openly assess the expected level of the credit risk;
2. In case of commercial lending commercial priorities coherent to risk assessment;
3. In the decision making process to increase the role of the function, when the credit is developed by several persons reviewing the risk management.

We consider a number of measures that should be taken for the operation of changes of commercial banks and its effective development. In particular :

a) to introduce new types of financial statements, it will significantly contribute to the decision-making process and to the usage of new products by the customers, as well as raising public awareness and increase the confidence to the banks;

b) the reforms that reduces the risk for creditors and depositors will improve the commercial bank's activity transparency.

**Key words:** *Credit risk; The credit portfolio; Corporate governance; Inventory; Modernization; Monetary policy.*

საფინანსო სექტორს უდიდესი მნიშვნელობა აქვს ქვეყნის ეკონომიკაში, რადგან მის გამართულ მუშაობაზე მთელი ეკონომიკური სისტემის ქმედითუნარიანობაა დამოკიდებული. თანამედროვე მაღალგანვითარებული ქვეყნების ერთ-ერთ ურთულეს და საინტერესო სფეროს საბანკო სექტორი წარმოადგენს, საბანკო სისტემაში ინტეგრაციისთვის მნიშვნელოვანია თანამედროვე საბანკო მომსახურების დანერგვა. თავის მხრივ ფულად-საკრედიტო პოლიტიკა საბიუჯეტოსთან ერთად, ეკონომიკის ერთიანი სახელმწიფო რეგულირების საფუძველს წარმოადგენს. მაგალითად კომერციული ბანკები, რომლებიც წარმოადგენს საფინანსო სექტორის ძირითად რგოლს საქართველოში, იღებენ რა დეპოზიტებს მოსახლეობისა და კომპანიებისგან, ახორციელებენ მათ გასესხებას სხვა შინამეურნეობებსა

და საწარმოებზე. ამავე დროს კომერციული ბანკების მეშვეობით ხორციელდება უნაღლო ტიპის ყოველგვარი ანგარიშსწორება როგორც ქვეყნის შიგნით, ისე მის ფარგლებს გარეთ. ამიტომ ჩვეულებრივი კომპანიებისაგან განსხვავებით კომერციული ბანკების ან საფინანსო სექტორის წარმომადგენლების პრობლემები მყისიერად აისახება დანარჩენ ეკონომიკაზე. შესაბამისად მნიშვნელოვანია საფინანსო სექტორის რისკების მუდმივი მონიტორინგი, როგორც ცალკე აღებული საფინანსო ინსტიტუტის ასევე, მთლიანად სექტორის დონეზე.

კომერციულ ბანკებში განსაკუთრებით მნიშვნელოვან ცვლილებებს მოითხოვს ფიზიკური და იურიდიული პირების საკრედიტო რისკების მართვის სფერო, სადაც რისკების მართვის სისტემების სრულყოფა მიმართული უნდა იყოს კლიენტების ყოველი კატეგორიისათვის, თუმცა გასათვალისწინებელია საპროცენტო, საბაზრო

და საოპერაციო რისკების მართვის სისტემების განვითარებაც, რომ ბანკის მთავარი ამოცანაა. საბანკო რესურსების ზრდის მნიშვნელოვან წყაროს ბანკის მიერ აქტიური ოპერაციების განხორციელების მეშვეობით მიღებული მოგება წარმოადგენს, რომლის მოცულობის ზრდა უშუალოდ არის დამოკიდებული საბანკო საქმის მაღალ შემოსავლიანობის ზრდაზე. შესაბამისად, შეიძლება ითქვას, რომ საქართველოს საბანკო სისტემის მრავალ პრობლემას შორის აღსანიშნავია საკრედიტო რესურსების ნაკლებობა და მათ შესავსებად წყაროების არარარსებობა. მათი მოგების შემავსებელი წყაროს გაზრდისათვის, დიდი მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს მათ ინტეგრაციას საზღვარგარეთულ ბანკებთან, საკორესპონდენტო ანგარიშების გახსნას, სავალუტო ოპერაციების წარმოებას საერთაშორისო სავალუტო ბაზარზე და უცხოური ფირმების სახსრების მოზიდვას.

საქართველოს საბანკო სექტორი ცხრაშვიტი კომერციული ბანკითაა წარმოდგენილი, სადაც ფული მრავალი წყაროდან შემოედინება. მისი ყველაზე მნიშვნელოვანი წყაროა ახალი სადეპოზიტო ანგარიშები და არსებულ ანგარიშებზე თანხის დამატება. კერძოდ: საკომისიო შემოსავალი, სხვა აქტივების გაყიდვიდან შემოსული თანხები, ბანკებისა და ეროვნული ბანკიდან ახალი ნასესხები სახსრები და ბანკის პორტფელში არსებული ფასიანი ქაღალდების ან სესხების და უძრავი ქონების შედეგად ქონების გაყიდვა.

რისკი ბანკის ნებისმიერ ოპერაციაში დევს, რა თქმა უნდა მათი მასშტაბი და უარყოფითი გავლენა სხვადასხვაა. ბანკის საქმიანობა არამარტო შიდა მდგომარეობაზე არამედ გარე ფაქტორებზეც არის დამოკიდებული. რისკის დონე იზრდება მაშინ როცა პრობლემები ჩნდება მოულოდნელად და ბანკი არ აღმოჩნდება მზად მის დროულად და მაქსიმალურ გასანეიტრალებლად. შესაბამისად სასურველი მოგების მიღება კომერციულ ბანკში შესაძლებელია მაშინ, როცა სავარაუდო რისკები და დანაკარგების ალბათობა წინასწარაა შესწავლილი და დაზღვეული.

ამრიგად, როგორც საბანკო საქმის მსოფლიო

გამოცდილების პრაქტიკა გვიჩვენებს, გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება ბანკების ზედამხედველობის რეგულირების სრულყოფის პროცესში ახალი ტიპის ფინანსური ანგარიშგებების დანერგვას, რომლებიც თავის მხრივ, ბანკების საქმიანობის გამჭვირვალობასთან ერთად გაითვალისწინებენ რისკის მენეჯმენტისა და ბანკის კორპორაციული მმართველობის გაუმჯობესებას, საბანკო საქმიანობის ყოველმხრივი ანალიტიკური, კომპლექსური შეფასების შესაძლებლობებს, რაც ჩვენი აზრით, მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული საქართველოს საბანკო სისტემის ფუნქციონირების პროცესში. კომერციული ბანკის საიმედოობის უზრუნველყოფის მთავარი მიზანი უნდა იყოს მისი თანამედროვე პირობებში მდგრადი და მაქსიმალურად ეფექტური ფუნქციონირების და მომავალში განვითარებისა და ზრდის მაღალი პოტენციალის შექმნის გარანტია. საიმედოობის უზრუნველყოფის მნიშვნელოვანი ეტაპია ფინანსური რესურსების გამოყენების ხარისხოვანი პარამეტრების განსაზღვრა და ბანკის რიცხოვრივი ორიენტირების შემადგენლობის მიმართულებათა სტრატეგიის დამუშავება. ბანკის ხელმძღვანელობამ თავისი მმართველობა უნდა წარმართოს ისე, რომ მიმდინარე პირობებში გამორიცხოს ზარალი, ხოლო მომავალში გაითვალისწინოს ქვემდებარე ობიექტის განვითარების ინტერესები. მაღალ ორგანიზებული მმართველობითი სისტემის შესაქმნელად პირველ რიგში აუცილებელია ფასეულობათა ინტერესებისა და სისტემების სწორად განსაზღვრა, შემდგომში კი გამომუშავებულ იქნას კომერციული ბანკის არსებობის პერსპექტიული მოდელი, რომელმაც უნდა უზრუნველყოს ყოველმხრივი დაცვის რეჟიმი და მართვის წინაშე დასახული ამოცანების ადეკვატურად შესაბამისი მეთოდების დამუშავება.

ამრიგად, საბანკო სექტორის განვითარებისთვის აუცილებელია პროგრესული ცვლილების განხორციელება, ხოლო, უახლოეს პერსპექტივაში, მხოლოდ პროფესიულ სტრატეგიას შეუძლია სიტუაციის უკეთესობისაკენ შეცვლა და კომერციული ბანკის ეფექტური ფუნქციონირების ამაღლება.

## ლიტერატურა/REFERENCES

1. ცაავა გ., ხანთაძე გ., 2015. საბანკო მენეჯმენტი(სახელმძღვანელო), გამომც. „დანი“
2. ცაავა გ., ხანთაძე გ., 2014. საბანკო მენეჯმენტი(სახელმძღვანელო), გამომც. „დანი“
3. Choudhry M. 2011. An Introduction to Banking: Liquidity Risk and Asset-Liability Management. Paperback,
4. Matz L. 2011. Liquidity Risk Measurement and Management: Basel III And Beyond, Paperback,
5. [https://www.nbg.gov.ge/uploads/legalacts/supervision/2014/kombankebis\\_zedamxedv\\_da\\_regulireb\\_wesi\\_19\\_03\\_14.pdf](https://www.nbg.gov.ge/uploads/legalacts/supervision/2014/kombankebis_zedamxedv_da_regulireb_wesi_19_03_14.pdf)